საქართველოს მთავრობის

დადგენილება №198

2019 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. **№1 დანართის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ი) საქართველოს გენერალური პროკურორი;“.

2. **№2 დანართის:**

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები;“;

ბ) „პ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{2}“ ქვეპუნქტი:

„პ^{2}) საქართველოს პროკურატურის სისტემის არაუმეტეს 15 თანამშრომლისა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**